ჟან მონეს მოდული
„ევროპული და შედარებითი კონკურენციის სამართალი და პოლიტიკა“

<u>საინაუგურაციო იმიტირებული სასამართლო პროცესი კონკურენციის სამართალში</u>

(14 დეკემბერი 2024)

კაზუსი

*გთხოვთ, მიმდინარე წლის **17 ნოემბრის ჩათვლით,** წერილობით წარმოადგინოთ თქვენი პოზიცია ქვემოთ მოცემულ საქმეზე. პოზიცია უნდა ჩამოყალიბდეს **ორ განცალკევებულ დოკუმენტად - მოსარჩენის პერსპექტივიდან და მოპასუხის პერსპექტივიდან გამომდინარე.** წარმატებებს გისურვებთ!*

სს „შავი ზღვის ბანკი“, სს „მუხა ბანკი“ და სს „შხარა ბანკი“ საქართველოში მოქმედი სამი უმსხვილესი ბანკია, რომელთა წლიური ბრუნვაც ქვეყანაში არსებული ყველა ბანკის ჯამური ბრუნვის 80%-ია. მათგან ყველაზე დიდ კომპანიას სს „შავი ზღვის ბანკი“ წარმოადგენს (45%). სამივე ბანკი ბაზარზე საკუთარი ინოვაციებითაა ცნობილი. ისინი მომხმარებლებს ყოველწლიურად სთავაზობენ მომსახურების ახალ და გაუმჯობესებულ სახეებს. ხსენებული ბანკების პოპულარულობას გარკვეულწილად განაპირობებს მათი უაღრესად გამართული, მომხმარებელზე მორგებული და ადვილად გამოსაყენებელი ონლაინ ბანკინგის სისტემები. ონლაინ ბანკინგის მეშვეობით ტრანზაქციების განხორციელება წახალისებულია სხვადასხვა ხერხებით, რადგან საგადახდო დავალებების ავტომატურ რეჟიმში მიღებითა და განხორციელებით, სს „შავი ზღვის ბანკი“, სს „მუხა ბანკსი“ და სს „შხარა ბანკი“ წელიწადში რამდენიმე მილიონი ლარის ღირებულების სახელფასო დანაზოგს ნახულობენ.

მომხმარებლები კმაყოფილნი არიან ბანკების მიერ გაწეული ონლაინ მომსახურებით. თუმცა, არსებობს მომსახურებათა რიგი სახეები, რომელთა გაუმჯობესებასაც ისურვებდნენ. ერთ-ერთი ასეთი მომსახურებაა კომუნალური გადასახადების გადახდა. ხსენებული მომსახურება, 2020 წლის კოვიდ პანდემიის შემდგომ, დიდწილად ონლაინ ბანკინგის მეშვეობით ხორციელდება. კომუნალური გადასახადების მიმღებ კომპანიებს ანგარიშები გახსნილი აქვთ სს „იდილია“ ბანკში, რომელიც შედარებით მცირე ბანკია - მასში სახელმწიფოს 60%-იანი წილი უკავია, ხოლო ბანკი ძირითადად სახელმწიფო და საზოგადო მნიშვნელობის მომსახურებების მიწოდებითაა დაკავებული. ამავდროულად, სს „შავი ზღვის ბანკს“, სს „მუხა ბანკსა“ და სს „შხარა ბანკს“ ექსკლუზივი აქვთ მოპოვებული კომუნალური გადასახადების ონლაინ გადახდის მომსახურებაზე. შედეგად, თუ მომხმარებელის კომუნალური გადასახადის გადახდა ონლაინ ბანკინგის მეშვეობით სურს, მას ხსენებული სამი ბანკიდან ერთ-ერთის ანგარიში უნდა ჰქონდეს.

ონლაინ ბანკინგის გამოყენებით კომუნალური გადასახადების გადახდისას სამივე ბანკში მოქმედებს ანალოგიური ტარიფი - გადასახადის თითოეულ სახესთან მიმართებით, გადასახდელი თანხის 1%, მინიმალური ზღვრით 1 ლარი, ხოლო მაქსიმალური ზღვრით 100 ლარი. მართალია, კომუნალური გადასახადების გადახდის ალტერნატიული გზებიც არსებობს (მაგალითად, გადახდის აპარატების გამოყენება ან სს „იდილია“ ბანკში მისვლა და ადგილზე გადახდა - ეს უკანასკნელი მომსახურება უფასოა), თუმცა ონლაინ ბანკინგის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდა მათ შორის ყველაზე სწრაფი და იოლი პროცედურაა. შედეგად, მომხმარებელთა უმრავლესობა სწორედ ამ გზით არჩევს გადასახადების გასტუმრებას. მსგავსი არჩევანის შედეგად, სს „შავი ზღვის ბანკის“, სს „მუხა ბანკისა“ და სს „შხარა ბანკის“ წლიური მოგება (საკომისიოების სახით) საშუალოდ 25 მილიონი ლარია.

ზემოთ აღწერილი სიტუაციით 2022 წლის აგვისტოში დაინტერესდა არასამთავრობო ორგანიზაცია „მწვანე ენერგია“, რომელიც სხვა საკიხებთან ერთად საქართველოში კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებულ პროექტებზე მუშაობს. ევროკავშირისგან მოპოვებული გრანტის საფუძველზე, „მწვანე ენერგიამ“ გამოაცხადა იდეების კონკურსი საქართველოში კომუნალური გადასახადების გადახდის სისტემის ოპტიმიზაციასთან დაკავშირებით. კონკურსში გაიმარჯვა საქართველოს ფინანსური ტექნოლოგიების უნივერსიტეტის მაგისტრანტთა ჯგუფმა, რომელმაც წარმოადგინა ე.წ. „ციფრული საგადახდო შუამავლის“ იდეა. ხსენებული იდეა აერთიანებს, ერთი მხრივ, ბანკში არსებული კომუნალური გადასახადების გადახდის სისწრაფესა და სიმარტივეს, ხოლო მეორე მხრივ, ითვალისწინებს ნულოვან საკომისიოს. „მწვანე ენერგია“ დიდი ენთუზიაზმით თანხმდება ჯგუფის თხოვნას სტარტაპად დარეგისტრირების შესახებ, რადგან დარწმუნებულია, რომ მსგავსი მომსახურება აუცილებლად დააინტერესებს ქართველ მომხმარებელს.

იდეის პრაქტიკაში დანერგვის მიზნით, 2022 წლის სექტემბერში, კონკურსში გამარჯვებულმა ჯგუფმა „მწვანე იდეის“ ხელშეწყობით დაარეგისტრირა სტარტაპ-კომპანია. მომდევნო 12 თვის განმავლობაში, სტარტაპის ფარგლებში განავითარეს ვებგვერდი “comunalpay.ge”, რომლის საშუალებითაც შესაძლებელია ონლაინ ბანკინგის სისტემაში კომუნალური გადასახადების გადახდა საკომისიოს გარეშე. 2023 წლის სექტემბერში, ჯგუფმა ოფიციალურად დაარეგისტრირა და ინტელექტუალური საკუთრების უფლება მოიპოვა ვებგვერდზე “comunalpay.ge”. 2023 წლის ოქტომბერში, ის კანონის დაცვით დარეგისტრირდა საგადახდო მომსახურების გამწევ ორგანიზაციად (იურიდიულ პირად) და შესაბამისი ანგარიშები გახსნა სს „შავი ზღვის ბანკში“, სს „მუხა ბანკში“, სს „შხარა ბანკშსა“ და სს „იდილია ბანკში“. მომხმარებლის მოზიდვის მიზნით, ვებგვერდის ამუშავების თარიღად დაიგეგმა 2024 წლის პირველი იანვარი. ამავდროულად, ვებგვერდის ამოქმედებამდე, კომპანია აქტიურად ეწეოდა საკუთარი მომსახურების რეკლამირებას ონლაინ სივრცეში, ცნობადობის ამაღლების მიზნით.

“comunalpay.ge”-თი სარგებლობა საკმაოდ მარტივია. ამისთვის მომხმარებლისთვის საჭიროა სს „შავი ზღვის ბანკის“, სს „მუხა ბანკის“ ან სს „შხარა ბანკის“ ანგარიშის ქონა (ერთ-ერთის მაინც) და შესაბამისი ონლაინ ბანკინგის სისტემით სარგებლობა. მომხმარებელს, რომელიც ამ პირობებს აკმაყოფილებს, შეუძლია დარეგისტრირდეს ვებ-გვერდზე “comunalpay.ge” და შეავსოს მარტივი ანკეტა, რომელშიც მითითებულია მისი პირადი მონაცემები - მათ შორის, პირადი ნომერი, მობილური ტელეფონის ნომერი, აბონემენტების ნომრები თითოეული კომუნალური გადასახადისთვის, გადასახადების დარიცხვის მისამართი და საბანკო ანგარიშის ნომერი, რომლიდანაც უნდა მოხდეს გადასახადების გადახდა.

სისტემაში რეგისტრაციის შემდგომ, მომხმარებელს შეუძლია საკუთარი ბანკის ონლაინ სისტემაში ჩართოს ავტომატური გადახდის რეჟიმი. ამ რეჟიმის ამოქმედების შემთხვევაში, შესაბამისი კომუნალური გადასახადის დარიცხვისას, ბანკის ონლაინ სისტემა ავტომატურად გადარიცხავს მის საპირწონე თანხას “comunalpay.ge”-ს იმავე ბანკში არსებულ ბიზნეს-ანგარიშზე (მაგალითად, თუ მომხმარებელი სს „შავი ზღვის ბანკშია“ დარეგისტრირებული, მისი კომუნალური გადასახადი გადაირიცხება სს „შავი ზღვის ბანკშივე“, ოღონდ “comunalpay.ge”-ს ანგარიშზე). ალტერნატიულად, მომხმარებელს შეუძლია ყოველთვიურად შევიდეს ვებგვერდზე და მიმდინარე თვეში არსებული გადასახადების გადასახელად საჭირო თანხა გადაურიცხოს “comunalpay.ge”-ს იგივე პრინციპით. ამის შემდგომ “comunalpay.ge” გადის გადახდის შემდგომ ეტაპებს:

- მომხმარებლის მხრიდან თანხის ჩარიცხვა ააქტიურებს ვებ-გვერდის ავტომატურ მექანიზმს, რომელიც ბრძანებას იძლევა სს „იდილია ბანკში“ “comunalpay.ge”-ს ბიზნეს-ანგარიშიდან გადასახადის გასტუმრების შესახებ, კონკრეტული მომხმარებლის დეტალების მითითებით. პროცედურას სჭირდება საშუალოდ 15 წუთი. ხსენებული ოპერაცია რომ წარმატებით განხორციელდეს, “comunalpay.ge”-ს ყოველთვის აქვს სს „იდილია ბანკში“ არსებულ ბიზნეს ანგარიშზე გარკვეული სარეზერვო თანხა.
- ყოველი თვის პირველ, 11 და 21 რიცხვებში, “comunalpay.ge”-ს სისტემა ასევე ავტომატურად რიცხავს სს „შავი ზღვის ბანკში“, სს „მუხა ბანკსა“ და სს „შხარა ბანკში“ კომპანიის ბიზნეს-ანგარიშზე აკუმულირებულ თანხებს სს „იდილია ბანკის“ ბიზნეს-ანგარიშზე, რათა კომუნალური გადასახადების შემდეგი პარტიის გასტუმრება უპრობლემოდ შეძლოს. ხსენებული გადარიცხვები ფასიანია, თუმცა გადარიცხვის საკომისიო მიზერულია. ამავდროულად, როგორც ბანკში დარგისტრირებული იურიდიული სუბიექტი, “comunalpay.ge” ასევე იხდის მოკრძალებულ საკომისიოს მისი ბიზნეს-ანგარიშების შენარჩუნებისთვის.

სისტემის მოქმედების ზემოთ აღწერილი პრინციპიდან გამომდინარე, “comunalpay.ge”-ზე დარეგისტრირებული მომხარებელები თავისუფლად ახერხებენ კომუნალური გადასახადების გადახდას საკუთარი ბანკების ონლაინ სისტემების მეშვეობით, ამავე სისტემაში განსაზღვრული საკომისიოს ჩამოჭრის გარეშე. ამავდროულად, ვებგვერდის ფუნქციონირებით მოგებას ნახულობს სტარტაპიც. კერძოდ, ვეგვერდზე რეგისტრაციის მომენტში, უფასო მომსახურების სანაცვლოდ, ის სთხოვს მომხმარებლებს მათი მონაცემების აგრეგირებული სახით დამუშავებისა და საჭიროების შემთხვევაში მათთვის შეთავაზებების გაკეთების ნებართვას. მსგავსი სახით (ანუ, მომხმარებელთა ინდივიდუალური მონაცემების გამჟღავნების გარეშე) მონაცემების დამუშავება სრულ შესაბამისობაშია საქართველოში პერსონალური მონაცემების დაცვის შესახებ კანონმდებლობასთან. ამავდროულად, აგრეგირებული მონაცემები უაღრესად ღირებულია არაერთი კომპანიისთვის - მაგალითად, სტატისტიკური კვლევა-ანალიზისთვის ან რეკლამის მომხმარებლამდე მიტანის მიზნით. სწორედ ამიტომ, კომპანიები, რომლებისთვისაც მსგავსი მონაცემები მნიშვნელოვანია, საკმაოდ დიდ ანაზღაურებას სთავაზობენ “comunalpay.ge”-ს მასთან თავმოყრილ მონაცემებზე წვდომის, მათი ანალიზის ან საკუთარი რეკლამის კლიენტებში გავრცელებისთვის.

„ციფრულმა საგადასახადო შუამავალმა“ (“comunalpay.ge”-მ) მომსახურების გაწევა, გეგმისამებრ, სს „შავი ზღვის ბანკის“, სს „მუხა ბანკისა“ და სს „შხარა ბანკის“ მომხმარებლებისთვის 2024 წლის პირველი იანვრიდან დაიწყო და სულ მალე დიდი პოპულარულობა მოიპოვა. მომხმარებელთა აბსოლუტურ უმრავლესობას ძალიან მოსწონს სტარტაპის მიერ შემოთავაზებული ავტომატური გადახდის რეჟიმი - ეს მათ საშუალებას აძლევს, უფასოდ მოახდინონ გადსახადების გადახდის ავტომატიზება და აღარ ინერვიულონ ყოველთვე იმაზე, რომ არ დაავიწყდეთ კომუნალური გადასახადების დროულად გადახდა და შესაბამისი შედეგების (მაგ. ელექტროენერგიის გათიშვის) გამკლავება.

შედეგად, 2024 წლის ივნისის ბოლოს, „ციფრული საგადახდო შუამავლით“ მოსარგებლეთა რაოდენობამ სამივე ბანკის მომხმარებელთა რაოდენობის 90% შეადგინა (დანარჩენი 10%-ისთვის მიუღებელია მათი მონაცემების “comunalpay.ge”-ს მიერ აგრეგირებულად დამუშავების პირობა და შესაბამისად, ისინი ძველი გზით აგრძელებენ გადასახადების გადახდას). შედეგად, სტარტაპმა შექმნა მომხმარებელთა საკმაოდ დიდი (900 000 მომხმარებლამდე) ბაზა, რამაც მის მიერ აგრეგირებულად დამუშავებული მონაცემები მიმზიდველი გახადა არაერთი ბიზნესისთვის. 2024 წლის ივნისში, “comunalpay.ge”-ს მსგავს კომპანიებთან თანამშრომლობით მიღებულმა შემოსავალმა 2 მილიონ ლარს გადააჭარბა. ამავდროულად, სს „შავი ზღვის ბანკის“, სს „მუხა ბანკისა“ და სს „შხარა ბანკის“ მიერ საკომისიოებით მიღებული შემოსავალი 10-ჯერ შემცირდა.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2024 წლის ივლისში, სს „შავი ზღვის ბანკმა“ სთხოვა სს „მუხა ბანკსა“ და სს „შხარა ბანკს“, განეხილათ კომუნალურ გადასახადებთან დაკავშირებული სიტუაცია კომერციული ბანკების ასოციაციის ყოველთვიური შეხვედრის ფარგლებში. სს „შავი ზღვის ბანკს“ სურდა, რომ მხარეებს ერთიანი პოზიცია შეემუშავებინათ “comunalpay.ge”-ს წინააღმდეგ, თუმცა სს „მუხა ბანკმა“ და სს „შხარა

ბანკმა“ უარი განაცხადეს რაიმე ღონისძიების გატარებაზე, იმ მოტივით, რომ სტარტაპის მოქმედება სრულ შესაბამისობაშია საქართველოს კანონმდებლობასთან. ამავდროულად, ისინი არ თვლიან, რომ საკომისიოების შემცირება განსაკუთრებულად აზიანებს მათ ბიზნესს - პირიქით, იმ ფაქტმა, რომ მსგავსი უფასო მომსახურება მხოლოდ მათი ბანკების ონლაინ-ბანკინგის მქონე კლიენტებისთვისაა შესაძლებელი, კიდევ უფრო გაზარდა ხსენებული ბანკების მიმზიდველობა და მიმდინარე თვეში, მათ დაგეგმილზე 5%-ით მეტი პირადი ანგარიში გახსნეს. თუმცა, სს „შავი ზღვის ბანკისთვის“ ეს არგუმენტი საკმარისი არ აღმოჩნდა - ის თვლის, რომ “comunalpay.ge” არაკეთილსინდისიერად სარგებლობს მისი ონლაინ სისტემით და საჭიროა, სტარტაპმა ეს ფაქტი აანაზღაუროს.

ასოციციის შეხვედრის დასრულების შემდგომ, 2024 წლის ივლისშივე, სს „შავი ზღვის ბანკმა“ შეცვალა საკუთარ ონლაინ სისტემაში კომუნალური გადასახადების გადახდის პირობები. კერძოდ, იმისდა მიუხედავად, მომხმარებელი გადასახადს თვითონ იხდის თუ „ციფრული საგადახდო შუამავლის“ (“comunalpay.ge”-ს) მეშვეობით, მას ეკისრება ერთი და იგივე საკომისიო. შედეგად, “comunalpay.ge”-ს ვებგვერდის გამოყენებამ მომხმარებლებისთვის მომხიბვლელობა დაკარგა. მომხმარებლებმა დაიწყეს ვებგვერდიდან საკუთარი პროფილების წაშლა - ეს კი იმას ნიშნავს, რომ კომპანიას აღარც მათი პირადი მონაცემების გამოყენების უფლება აქვს საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად. მომდევნო ერთი თვის განმავლობაში, ვებგვერდის მომხმარებელთა რაოდენობა 3-ჯერ შემცირდა და კვლავაც აგრძელებს შემცირებას. არსებული მომხმარებლების რაოდენობა საკმარისი არაა იმ ოდენობის სტატისტიკური მონაცემების აგრეგირებისთვის, რომელიც მსხვილ კომპანიებს დააინტერესებს. შედეგად, სტარტაპმა დაკარგა მსხვილი კლიენტებიც და, არსებული ტენდენციის (მომხმარებელთა ნაკადის უწყვეტი შემცირების) ფონზე, გაკოტრება ემუქრება.

2024 წლის პირველ სექტემბერს, სტარტაპ-კომპანიამ თბილისის საქალაქო სასამართლოში შეიტანა სარჩელი სს „შავი ზღვის ბანკის“ წინააღმდეგ, „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონის დარღვევის თაობაზე. კომპანიის სარჩელის მიხედვით, ბანკი ბოროტად იყენებს საკუთარ დომინანტურ მდგომარეობას და მას, როგორც შედარებით პატარა ზომის, მაგრამ ეფექტიანი კონკურენციის გამწევ საბაზრო მეტოქეს არ აძლევს ბიზნესის სრულყოფილად წარმოების საშუალებას. სარჩელში დეტალურადაა მიმოხილული სამი ძირითადი საკითხი:

N1. შესაბამისი ბაზარი/ბაზრები, რომელზეც სს „შავი ზღვის ბანკი“ და “comunalpay.ge” ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. სტარტაპის მოსაზრებით, შესაბამისი ბაზარი, რომელზეც სს „შავი ზღვის ბანკი“ და “comunalpay.ge” ერთმანეთს კონკურენციას უწევენ, ვიწროდ უნდა განიმარტოს - კერძოდ, ესაა ქართული ბანკების ონლაინ ბანკინგის სისტემის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდის მომსახურება, გადასახადის თითოეული სახისთვის ცალ-ცალკე (მაგ. ელექტროენერგიის გადასახადი, ბუნებრივი აირის გადასახადი და ა.შ.).

მსგავს განმარტებას სტარტაპი რამდენიმე არგუმენტით ასაბუთებს. პირველ რიგში, მას მიაჩნია, რომ ონლაინ სისტემის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდა გაცილებით სწრაფი და მარტივი პროცედურაა. შესაბამისად, ის არ მოიაზრება მსგავსი გადახდების სხვა ფორმების (მაგალითად, საგადახდო აპარატების მეშვეობით ან ფიზიკურად, სს „იდილია ბანკის“ ფილიალებში კომუნალური გადასახადების გადახდის) ანალოგად. ამას ისიც ადასტურებს, რომ კომუნალურ გადასახადებს დღესდღეობით საქართველოს მოსახლეობის 90% ონლაინ ბანკინგის მეშვეობით იხდის. ეს კი გულისხმობს, რომ გადახდის სხვა გზები კონკურენტული არაა მსგავს მეთოდთან მიმართებით - შესაბამისად, ის ცალკე ბაზრად უნდა გამოიყოს.

ონლაინ ბანკინგის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდის განსაკუთრებულობაზე ისიც მიუთითებს, რომ ამის საშუალება აქვთ მხოლოდ სისტემაში დარეგისტრირებულ მომხმარებლებს - ანუ, შესაბამის ბანკებში რეგისტრირებულ (ე.ი. ანგარიშის მქონე) კლიენტებს. ამავდროულად, ხსენებულ სისტემაში მომსახურებების შეთავაზება შეუძლიათ ან მხოლოდ ბანკს, ან ისეთ კომპანიებს, რომლებსაც ამავე ბანკში აქვთ გახსნილი საკუთარი ანგარიში (როგორიცაა თავად “comunalpay.ge”).

კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ ერთი გადასახადის სახესთან (მაგ. ელექტროენერგიის გადასახადი) მიმართებით ჩანაცვლებადი არაა მეორე გადასახადის სახე (მაგ. ბუნებრივი აირის გადასახადი). შესაბამისად, ეს უკანასკნელები შესაბამისი ბაზრების ცალ-ცალკე სახეებად უნდა გამოიყოს.

საბოლოოდ, "comunalpay.ge" მიუთითებს, რომ მართალია ის კომუნალური გადასახადების გადახდის შესაბამის ბაზრებზე მოქმედებს, მაგრამ მნიშვნელოვნად განსხვავდება ბანკისგან ინფრასტრუქტურული კუთხით. კერძოდ, ბანკები ფლობენ საკუთარ ონლაინ ბანკინგის სისტემებს და 100%-ით აკონტროლებს მას. ამ კუთხით, სტარტაპი თვლის, რომ უნდა გაიმიჯნოს, ერთი მხრივ, კომუნალური გადასახადების გადახდის მომსახურების განხორციელებისთვის საჭირო ინფრასტრუქტურა (ანუ უშუალოდ ონლაინ ბანკინგის სისტემა), ხოლო მეორე მხრივ - ამ სისტემის მეშვეობით შესაბამისი მომსახურების განხორციელება. სს „შავი ზღვის ბანკი" და სტარტაპი კონკურირებენ სწორედ ამ უკანასკნელთან მიმართებით.

N2. სს „შავი ზღვის ბანკის" დომინანტობა შესაბამის ბაზარზე/ბაზრებზე. ბაზრის განსაზღვრებიდან გამომდინარე, სტარტაპი ასევე ამტკიცებს, რომ 2024 წლის იანვრამდე (ანუ "comunalpay.ge"-ს ამოქმედებამდე) სს „შავი ზღვის ბანკს" ეკავა დომინანტური მდგომარეობა ონლაინ ბანკინგის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდის ბაზრებზე - ეს უკანასკნელი 100%-ით აკონტროლებდა საკუთარ ონლაინ სისტემას, რომლის მეშვეობითაც ხორციელდებოდა კომუნალური გადასახადების (წლიური მაჩვენებლის) 45%-ის გადახდა. მსგავს მაჩვენებელს მნიშვნელოვნად ჩამორჩებოდა სს „მუხა ბანკის" 20% და სს „შხარა ბანკის" 15%. „ციფრული საგადახდო შუამავლის" ბანკის სისტემაში ამოქმედების შემდგომ მდგომარეობა შეიცვალა. კერძოდ, მართალია ბანკი კვლავ 100%-ით აკონტროლებს საკუთარ ონლაინ ბანკინგის სისტემას, მაგრამ მისი წილი კომუნალური გადახდის ბაზრებზე 45%-დან 4.5%-მდე შემცირდა. სტარტაპის მიხედვით, ეს აშკარად აჩვენებს, რომ მისი მცირე ზომის მიუხედავად, "comunalpay.ge"-მ შეძლო ჯანსაღი კონკურენცია გაეწია ბანკისთვის. ამავდროულად, უდავოა, რომ ონლაინ ბანკინგის სისტემაზე კონტროლის კუთხით, სს „შავი ზღვის ბანკი" კვლავ ერთპიროვნული ლიდერია (ანუ, ის კვლავ 100%-ით აკონტროლებს საკუთარ სისტემას).

N3. სს „შავი ზღვის ბანკის" მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება. სტარტაპი უთითებს, რომ ბანკი ბოროტად იყენებს საკუთარ მდგომარეობას, როგორც ონლაინ ბანკინგის სისტემის ერთპიროვნული მმართველისას, რომ გააძევონ "comunalpay.ge" კომუნალური გადასახადების გადახდის შესაბამისი ბაზრებიდან. კერძოდ, ეს გამოიხატება მომხმარებლებისთვის ბანკის შიგნით, სტარტაპის ბიზნეს ანგარიშზე კომუნალური გადასახადის გადარიცხვისას საკომისიოს დაწესებაში. მსგავსი მიდგომა წარმოადგენს სტარტაპის არაპირდაპირ დისკრიმინაციას. კერძოდ, ბანკის ონლაინ სისტემაში არც ერთი სხვა შიდა გადარიცხვა არ ექვემდებარება საკომისიოს გადახდას. ამ სისტემაში კომუნალური გადასახადების მომხმარებლებიდან სტარტაპის ბიზნეს ანგარიშზე გადარიცხვისას არ მოქმედებს ბანკთაშორისი საკომისიო გადასახადი - შესაბამისად, სს „შავი ზღვის ბანკისთვის" მსგავსი შიდა ტრანზაქცია დამატებითი ხარჯის შემცველი არაა. ზემოთქმულიდან გამომდინარე, სტარტაპი თვლის, რომ ბანკი არათანაბრად ეპყრობა მას სხვა ბიზნეს-სუბიექტებთან შედარებით, როდესაც მის მიერ გაწეული ბიზნეს-მომსახურების მიღებას დამოკიდებულს ხდის მომხმარებლის მხრიდან დამატებით საკომისიოს გადახდაზე.

კომპანია ასევე აღნიშნავს, რომ ის კანონმდებლობის მიხედვითაა დარეგისტრირებული, ექვემდებარება პერსონალურ მონაცემთა დაცვის კანონმდებლობას და საქმიანობას ახორციელების სებ-ის მიერ დადგენილი წესების სრული დაცვით. ამავდროულად, რადგან მას (საკუთარი საქმიანობის მიზნებიდან გამომდინარე) უნდა ჰქონდეს ანგარიშები სს „შავი ზღვის ბანკში", ის უკვე უხდის საკომისიოს ამ ბანკს, როგორც მისი კლიენტი ბიზნეს-დაწესებულება. სტარტაპს ბანკთან დადებული ბიზნეს მომსახურების ხელშეკრულების პირობები არ დაუღვევია და საკომისიოს გადახდა არასოდეს დაუგვიანებია. ამ პირობებში, სს „შავი ზღვის ბანკის" მხრიდან მისი საქმიანობის „არაპირდაპირ" (მომხმარებლებისთვის საკომისიოს დაკისრების გზით) გართულება ეწინააღმდეგება კონკურენციის წესებს და ბაზრიდან გაძევებით ემუქრება "comunalpay.ge"-ს.

2024 წლის 15 სექტემბერს, სს „შავი ზღვის ბანკმა“ შესაგებელი წარმოადგინა “comunalpay.ge”-ს სარჩელთან დაკავშირებით. ბანკი არ ეთანხმება სტარტაპ კომპანიას და მიიჩნევს, რომ მას არ დაურღვევია „კონკურენციის შესახებ“ საქართველოს კანონი. მისი არგუმენტები შემდეგია:

N1. შესაბამისი ბაზარი, რომელზეც სს „შავი ზღვის ბანკი“ და “comunalpay.ge” ერთმანეთს კონკურენციას უწევენ. ბანკი მიიჩნევს, რომ სტარტაპის მიერ დიდწილად არასწორად და ხელოვნურად ხდება შესაბამისი ბაზრის დავიწროვება. კერძოდ, ის ეთანხმება კომპანიას, რომ მომსახურების კუთხით, კომუნალური გადასახადის სხვადასხვა სახეები (მაგალითად, ელექტროენერგიისა და ბუნებრივი აირის გადასახადები) ჩანაცვლებადი არაა მომხმარებლის მხრიდან. თუმცა, აღსანიშნავია, რომ მსგავსი მომსახურებები ჩანაცვლებადია მიმწოდებლის (ანუ ბანკის მხრიდან), რადგან მომხმარებლის სურვილის შემთხვევაში, ბანკს უპრობლემოდ შეუძლია შესთავაზოს მას ყველა სახის კომუნალური გადახდის მომსახურება ისე, რომ ბანკს ზედმეტი ხარჯი არ წარმოეშობა. ამავდროულად, ბანკის მიხედვით, შეცდომაა ხსენებული მომსახურების ბაზრების ისე დავიწროვება, რომ ონლაინ სისტემის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდა ცალკე ბაზრებად გამოიყოს. ბანკის განმარტებით, ხსენებულ მომსახურებასთან მიმართებით, შესაბამისი ბაზარი მოიცავს გადაცვლის ნებისმიერ ფორმას - ფიზიკურს (მაგალითად, სს „იდილია ბანკის“ ფილიალებში მისვლით ან გადახდის აპარატის გამოყენებით) თუ ონლაინ ბანკინგის მეშვეობით განხორციელებულს. შესაბამისად, ამ ბაზარზე ბანკი კონკურენციას უწევს ყველა იმ ბანკსა თუ სხვა დაწესებულებას, სადაც ან ფიზიკურად, გადახდის აპარატის მეშვეობით ან ონლაინ შეიძლება კომუნალური გადასახადების გადახდა.

შესაბამისი ბაზრის მსგავსი სახით განსაზღვრების აუცილებლობას ბანკი დამატებით იმით ასაბუთებს, რომ მომხმარებელი ყოველთვის თავისუფალია, აირჩიოს ხსენებულ ვარიანტებს შორის ერთ-ერთი. მაგალითად, სს „შავი ზღვის ბანკის“ უამრავ კლიენტს ანგარიში ასევე გახსნილი აქვს სს „მუხა ბანკისა“ და სს „შხარა ბანკის“ სისტემაში - შედეგად, ნებისმიერ შემთხვევაში, მომხმარებელს შეუძლია ნებისმიერი ბანკის სისტემიდან გადაიხადოს გადასახადები. ანალოგიურად, თუ კლიენტებს ადგილზე მისვლით ურჩევნიათ კომუნალური გადასახადის გადახდა, მათ შეუძლიათ გამოიტანონ თანხა სს „შავი ზღვის ბანკიდან“ და ისარგებლონ სხვა ბანკების (მათ შორის, სს „იდილია ბანკის“ უფასო) მომსახურებით.

საბოლოოდ, ბანკის მიხედვით, მისი ხსენებულ სფეროში წარმატების საიდუმლო ისაა, რომ ის ამ მომსახურების მუდმივად გამარტივებაზე ზრუნავს - ამ ეტაპზე, მისი ონლაინ ბანკინგის სისტემა ყველაზე ადვილი მოსახმარია და სწორედ ამიტომ სარგებლობს პოპულარულობით კლიენტებში. ეს კი იმაზე უთითებს, რომ ბანკს მუდმივად უწევს მუშაობა საკუთარი მომსახურების მიმზიდველობაზე (ხარისხის ამაღლებაზე), რათა ეს უკანასკნელი კონკურენტუნარიანი გახადოს სხვა კომპანიების მომსახურებებთან მიმართებით. ეს კი ბაზრის ვიწროდ განსაზღვრის შემთხვევაში საჭირო არ იქნებოდა. სწორედ მისი ხარისხიანი მომსახურებიდან გამომდინარე (სისწრაფე და სიმარტივე) არიან მზად კლიენტები, გადაიხადონ კომუნალური გადასახადის საკომისიო. ეს უთითებს, რომ ბანკი ჯანსაღად კონკურირებს ფართო შესაბამის ბაზარზე (კომუნალური გადასახადების გადახდის ბაზარზე).

N2. სს „შავი ზღვის ბანკის“ დომინანტობა შესაბამის ბაზარზე. ბანკი ყურადღებას ამახვილებს კომუნალური გადახდების ბაზარზე მის ამჟამინდელ მდგომარეობაზე, რომლის მიხედვითაც მისი წილი საერთო გადახდებში 4.5%-ია. ამას თავად სტარტაპიც უსვამს ხაზს. ამ პირობებში, ბანკს შეუძლებლად მიაჩნია კომუნალური გადასახადების გადახდის ბაზარზე მისი დომინანტად მიჩნევა. რაც შეეხება ბანკის ონლაინ სისტემას, სს „შავი ზღვის ბანკი“ ერთადერთი ბანკი არაა საქართველოში, რომელსაც მსგავსი სისტემა გააჩნია. ანალოგიურ ონლაინ ბანკინგის სისტემებს წარმატებით ამუშავებენ სს „მუხა ბანკი“ და სს „შხარა ბანკიც“. შესაბამისად, ბანკისთვის გაუგებარია, თუ რა კრიტერიუმით/კრიტერიუმებით უნდა მიიჩნეს ის დომინანტად.

N3. სს „შავი ზღვის ბანკის“ მიერ დომინანტობის ბოროტად გამოყენება. ბანკი ხაზგასმით აღნიშნავს, რომ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებაზე მსჯელობა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ სახეზეა დომინანტი კომპანია. რადგან ეს უკანასკნელი თავს დომინანტად არ თვლის,

შესაბამისად, შეუძლებელია მის მიერ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენება (ანუ კონკურენციის კანონმდებლობის ამ კუთხით დარღვევა).

ბანკი დამატებით განმარტავს, რომ მის მიერ შექმნილი ონლაინ ბანკინგის სისტემა საკმაოდ კომპლექსურია. შედეგად, მას მნიშვნელოვანი ფინანსური რესურსის ჩადება მოუწია ამ სისტემის შექმნისთვის და ახლაც, ყოველწლიურად რამდენიმე მილიონ ლარს ხარჯავს მისი გამართულად ფუნქციონირებისა და უსაფრთხოებისთვის. ამავდროულად, მსგავსი სისტემის მეშვეობით მისი ოპერირება აუცილებელია - წინააღმდეგ შემთხვევაში, ის ძალიან მალე ვეღარ გაუწევს კონკურენციას საქართველოში არსებულ სხვა მსხვილ ბანკებს, რომლებიც ანალოგიურად მუშაობენ საკუთარი ონლაინ სისტემის დახვეწაზე. ონლაინ სისტემაში კომუნალური გადასახადების საკომისიოს არსებობა გარკვეულწილად იმითაცაა განპირობებული, რომ შესაბამისი თანხების გადარიცხვა ხდება სხვა ბანკში (სს „იდილია ბანკში“) - შესაბამისად, მსგავსი ტრანზაქცია უფასო ვერ იქნება, რადგან მოქმედებს ბანკთაშორისი გადარიცხვის საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესები. ამავდროულად, ბანკისთვის აუცილებელია მსგავსი საკომისიოების დაწესება, მათ შორის, იმის გათვალისწინებით, რომ მიღებული დამატებითი შემოსავლით უზრუნველყოს ონლაინ ბანკინგის სისტემის გამართულობა და უსაფრთხოება. შედეგად, საკომისიოს დაკისრებას თავისი ლოგიკური მიზეზები გააჩნია და სისტემის ფუნქციონირებისთვის აუცილებელია, რომ მისი გადახდა ხორციელდებოდეს.

ამასთან დაკავშირებით, ბანკი აღნიშნავს, რომ “comunalpay.ge”-ს მსგავსი სირთულეები არ აქვს. პირიქით - არსებული სიტუაცია შესაძლებლობას აძლევს მას, ისარგებლოს ბანკის მიერ შექმნილი უსაფრთხო სისტემით, მაშინ როდესაც არ უწევს ბანკის მსგავსი საკომისიოების დაწესება. უფრო მეტიც, სტარტაპი იყენებს მომხმარებელთა მონაცემებს შემოსავლის მისაღებად (ესაა მისი ძირითადი ბაზარი), მაშინ როდესაც ბანკის მიერ მსგავსი მონაცემები უაღრესად დაცულია და არ ექვემდებარება მესამე პირებზე (თუნდაც აგრეგირებული) სახით გადაცემას, გარდა კანონმდებლობით დადგენილი შემთხვევებისა. ამ შემთხვევებშიც კი (ანუ პერსონალური მონაცემების მესამე პირებზე საგამონაკლისო გადაცემისას), ბანკი მსგავს მონაცემებში დამატებით შემოსავალს არ იღებს. სწორედ ამიტომ, ბანკი მიიჩნევს, რომ დამატებითი საკომისიოს დაწესების გარეშე მუშაობით, “comunalpay.ge” არაკეთილსინდისიერად იყენებს მის მიერ შექმნილ მარტივ და უსაფრთხო ონლაინ სისტემას, ღებულობს მოგებას შესაბამისი რისკების გაწევის გარეშე, მაშინ როდესაც სისტემის გამართულობასთან დაკავშირებულ ხარჯებზე პასუხისმგებლობას საერთოდ არ იღებს. შედეგად, ბანკის მოსაზრებით, არ შეიძლება “comunalpay.ge” ჩაითვალოს მასთან თანაბარ და ჯანსაღ კონკურენტად.

საბოლოოდ, ბანკი უთითებს, რომ ის სტარტაპ კომპანიას დისკრიმინაციულად სულაც არ ეპყრობა. კერძოდ, “comunalpay.ge”-ს არ უწესდება დამატებითი საკომისიო/გადასახადი საკუთარი ბიზნესის წარმოებისთვის. პირიქით, ბანკი სწორედ მომხმარებლებს აკისრებს დამატებით საკომისიოს - ესაა საკომისიო, რომელსაც მომხმარებელი ნებისმიერ შემთხვევაში გადაიხდიდა ბანკის მეშვეობით კომუნალური გადასახადების გადახდისას. ბანკი თვლის, რომ მსგავსი საკომისიოს დაწესება (გადარიცხვის მეთოდის მიუხედავად - პირდაპირ თუ „ციფრული საგადახდო შუამავლის“ მეშვეობით) სავსებით გამართლებულია, რადგან ორივე შემთხვევაში, მომხმარებელი ბანკის სისტემას ერთი და იმავე მიზნით იყენებს. შესაბამისად, ამ უკანასკნელმა უნდა გადაიხადოს კიდევაც შესაბამისი მოსაკრებელი, რომელიც საბოლოო ჯამში კვლავ ონლაინ ბანკინგის გამართულ მუშაობას ხმარდება.

ზემოთქმულის გათვალისწინებით, ბანკი მიიჩნევს, რომ მისი ქმედებები სრულად შეესაბამება საქართველოს კონკურენციის კანონმდებლობის მოთხოვნებს და სასამართლოს სთხოვს, სარჩელი არ დააკმაყოფილოს.

საქმის სირთულიდან გამომდინარე, თბილისის საქალაქო სასამართლოში გადაწყდა, რომ მასზე იმუშავებს სამი მოსამართლისგან შემდგარი კოლეგია. განმწესრიგებელი სხდომა ჩატარდა 2024 წლის პირველ ოქტომბერს. სხდომის ფარგლებში აღინიშნა, რომ მოცემული საქმე თავისი შინაარსით უნიკალურია და წარმოადგენს სამოქალაქო წესით კონკურენციის სამართლებრივი დავის ერთ-ერთი იშვიათ შემთხვევას. ქართული პრაქტიკის სიმწირიდან გამომდინარე, სასამართლოს სურს, მხარეებმა

საკუთარი არგუმენტები დაასაბუთონ საუკეთესო საერთაშისო პრაქტიკის საფუძველზე. სასამართლო ასევე აღნიშნავს, რომ ევროკავშირთან გაფორმებული ასოცირების შესახებ შეთანხმების საფუძველზე, საქართველოში კონკურენციის სამართლის ადმინისტრაციული წესით აღსრულებისას ინტენსიურად გამოიყენება ევროკავშირის კონკურენციის სამართლებრივი პრაქტიკა. შესაბამისად, ის მხარეებს ავალებს, საკუთარი არგუმენტები გაამყარონ ხსენებული პრაქტიკით - კერძოდ, ევროკავშირის კონკურენციის სამართალთან დაკავშირებული კანონმდებლობითა და სარეკომენდაციო დოკუმენტებით, ევროკომისიისა და ევროკავშირის მართლმსაჯულების სასამართლოს გადაწყვეტილებებით.

განმწესრიგებელ სხდომაზე ასევე გადაწყდა, რომ მხარეთა პირველი ზეპირი მოსმენა გაიმართება 2024 წლის 14 დეკემბერს. პირველი ზეპირი მოსმენის ფარგლებში, მსჯელობა შეეხება მხოლოდ კონკურენციის კანონმდებლობის დარღვევის (ანუ დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენების) საკითხს. ხსენებული საკითხის გადაჭრის შემდგომ, სასამართლო გადაწყვეტს, დანიშნავს თუ არა შემდგომ ზეპირ სხდომას ზიანის ანაზღაურების საკითხთან დაკავშირებით. 14 დეკემბრის სხდომაზე კი, სასამართლო მხარეებისგან მოისმენს არგუმენტებს შემდეგი სამი საკითხის შესახებ:

1. მოცემულ საქმეზე, როგორ უნდა განისაზღვროს შესაბამისი ბაზარი (ან ბაზრები)?

2. დგინდება თუ არა სს „შავი ზღვის ბანკის“ დომინანტობა (რომელიმე) შესაბამის ბაზარზე (ბაზრებზე)?

3. თუ დადგინდა, რომ სს „შავი ზღვის ბანკი“ დომინანტია, ამ უკანასკნელის რა ქმედება შეიძლება მიიჩნეს დომინანტური მდგომარეობის ბოროტად გამოყენებად და რატომ?